

# ქობულეთის მუნიციპალიტეტის ანთროპოგენური რელიეფი

## ერეკლე კაიკაციშვილი

ელ./ფოსტა: E-mail:erekle.kaikatsishvili207@ens.tsu.edu.ge

*გეოგრაფიის დეპარტამენტი, ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტი, ივ.ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ი.ჭავჭავაძის პრ. #3, 0179 თბილისი*

ქობულეთის მუნიციპალიტეტი გამორჩეულია უნიკალური ბუნებრივი პირობებით, გეოლოგიური აგებულებით, ლანდშაფტებით, ისტორიული და კულტურული ძეგლების სიუხვით, სტრატეგიული მნიშვნელობის ადგილმდებარეობით, მაგრამ უკანასკნელ პერიოდში ინტენსიურმა საინჟინრო-სამეურნეო საქმიანობამ (გზების გაყვანამ, სტიქიური პროცესებისადმი სარისკო ტერიტორიების ათვისებამ, მაღალი გადამცემი ანძების დადგმამ, ჰესების მშენებლობამ, გაზის მილსადენების გაყვანამ, რელიეფის ანთროპოგენიზაციამ) და ბუნებრივმა პირობებმა გამოიწვია საშიში გეოდინამიკური პროცესების (ღვარცოფები, ეროზიული მოვლენები, მეწყერი, აბრაზია, მდინარეთა ნაპირების გარეცხვა, სეტყვა, გვალვა) დიდი მასშტაბით გააქტიურება, რასაც თან ახლავს ყოველწლიურად მნიშვნელოვანი მატერიალურ-ტექნიკური ზარალი, არცთუ ისე იშვიათად ადამიანის დაღუპვის ფაქტები.

საკვლევ ტერიტორიაზე განვითარებულია მრავალსახეობრივი გეოდინამიკური პროცესები: ღვარცოფები, მეწყერები, წყალდიდობები, აბრაზია, ეროზია და სხვ. სტიქიური პროცესები ვრცელდება საკვლევ ტერიტორიის თითქმის მთელ არეალში. რისი განამაპირობებელი ძირითადი ფაქტორიც ადამიანის ინტენსიური, საინჟინრო-სამეურნეო საქმიანობაა, რომელიც ხდება ღვარცოფების, მეწყერების და ეროზიული პროცესების განვითარების ხელსაყრელი ბუნებრივი პირობების ფონზე.

რეგიონის შესახებ არსებულმა შესწავლამ და თანამედროვე მდგომარეობის შედარებამ დაგვანახა, რომ ტერიტორიაზე გააქტიურებულია სტიქიური პროცესები.

აქედან გამომდინარე ქობულეთის მუნიციპალიტეტის რელიეფის გეოეკოლოგიური შესწავლა და შეფასება მნიშვნელოვანია, მითუმეტეს იმ ფონზე როდესაც, რეგიონში დეტალური გეოეკოლოგიური შეფასება აქამდე არ გაკეთებულა, სადიპლომოს კვლევის ამოცანას წარმოადგენს ქობულეთის მუნიციპალიტეტის ანთროპოგენური რელიეფის შეფასება.